



SORAFENIB TOSYLATE - NEXAVAR®

რა არის NEXAVAR-ი

მოლეკულის აღწერა	აღწერა
სორაფენიბი	200 მგ ტაბლეტი: ვარდისფერი, მრგვალი 

როგორ უნდა მიიღოთ წამალი?

წამლის დოზირება განსაზღვრულია თქვენი ექიმის მიერ.

თქვენს შემთხვევაში, არის მგ/დღეში, ან 200 მგ-ანი..... ტაბლეტი, რომელიც უნდა მიიღოთ 2-ჯერ დღეში, ყოველდღე.

ტაბლეტები გადაყლაპეთ მთლიანად, ერთ ჭიქა წყალთან ერთად, დაქუცმაცების, გატეხვის, დაღეჭვის ან განზავების გარეშე.

მიიღეთ ფიქსირებულ დროს. საკვების მიღებისგან მოშორებით (1 საათით ადრე კვებამდე ან კვების მერე 2 საათის შემდეგ) ან უცხიმო კვებისას.

დავინყების ან ღებინების შემთხვევაში: არ მიიღოთ დამატებითი დოზა, დაელოდეთ შემდეგ მიღებას.

დოზირება - მიღების წესი

ორი მიღება დღეში, ფიქსირებულ დროს, 1 საათით ადრე კვებამდე ან კვების მერე 2 საათის შემდეგ	 < 1სთ 2სთ >	 < 1სთ 2სთ >	 < 1სთ 2სთ >
უწყვეტლივ	 დ1  დ2  დ3  დ4  დ5  დ6  დ7 ...  დ28		

როგორ მოიქცეთ, რომ არ გამოგელით მარაგი?

ეს წამალი ხელმისაწვდომია ქალაქის აფთიაქებში.

მის მიწოდებას შესაძლოა დასჭირდეს გარკვეული დრო. ყურადღებით იყავით და წინასწარ დაგეგმეთ თქვენი რეცეპტის განახლება.

შეინახეთ ეს წამალი ორიგინალ შეფუთვაში, სითბოსა და ტენიანობისგან დაცულ ადგილას.

სხვა რა ინფორმაცია უნდა იცოდეთ?

გამაფრთხილებელი ზომები და მეთვალყურეობა

თქვენი მედიკამენტის მიღება საჭიროებს ბიოლოგიურ მეთვალყურეობას (სისხლის საერთო ანალიზი, რომელიც საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ სისხლის მაჩვენებლებს, ფარისებრი ჯირკვლისა და პანკრეასის ფუნქციებს) და კლინიკურ მეთვალყურეობას (ელექტროკარდიოგრამა, გულის სცინტიგრაფია, არტერიული წნევა).

კონტრაცეფცია

ეს წამალი შეიძლება ზიანს აყენებდეს ჩანასახს. თქვენ და თქვენმა პარტნიორმა მკურნალობის მთელი პერიოდის განმავლობაში და მისი შეწყვეტიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა გამოიყენოთ ეფექტური კონტრაცეპტული მეთოდები (პრეზერვატივი და დამატებითი მეთოდი).



მედიკამენტებთან და/ან კვებასთან ურთიერთქმედება
NEXAVAR®-ის სხვა პრეპარატებთან ერთად მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს არასასურველი ეფექტები (პრეპარატის ეფექტურობისა და ამტანობის შემცირება). ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თქვენი ფარმაცევტი და მკურნალი ექიმი ინფორმირებული იყვნენ ყველა იმ მედიკამენტის და/ან სხვა ნივთიერებების (საკვები პროდუქტები, მცენარეები, პრობიოტიკები, ეთერზეთები დანამატები და სხვ.) შესახებ, რომელსაც იღებთ მაგალითი: მოერიდეთ კრაზანას, გრეიფრუტის წვენის, გინკგო ბილობას, სევილიური ფორთოხლის, თავვისარას, ძირტბილას, იოჰიმბეს მიღებას NEXAVAR®-თან.

რომელია არასასურველი გვერდითი მოვლენები?

ყველაზე გავრცელებული გვერდითი მოვლენები ჩამოთვლილია ქვემოთ. ასევე შესაძლოა სხვა გვერდითი ეფექტებიც გამოვლინდეს. დამატებითი ინფორმაციისთვის გაეცანით მედიკამენტის ინსტრუქციას ან მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

გვერდითი მოვლენები	
ყველაზე ხშირი	საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები: დიარეა, გულისრევა, ღებინება, კუჭის შეკრულობა, წონის დაკლება, გემოს დარღვევა, პირის ღრუს ანთება (პირის ღრუს წყლულები) კანის დარღვევები: თმის ცვენა, ხელისგულების, ფეხის ტერფების და ხახუნისადმი მგრძნობიარე ადგილების ანთება, გამონაყარი, ქავილი ინფექციები ბიოლოგიური ანალიზის ანომალიები: ლეიკოციტების (ლეიკოპენია), ნეიტროფილების პოლინუკლეარული უჭრედეების (ნეიტროპენია), ჰემოგლობინის (ანემია) და/ან თრომბოციტების (თრომბოციტოპენია) შემცირება, ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დარღვევა (ჰიპო- ან ჰიპერთირეოზი) ნეიროპათიები: მგრძნობელობის დარღვევები (დაბუჟება, ჩხვლეტა, წინკნა), წვის ან განმუხტვის შეგრძნება, ტკივილი სიცივის, სიცხის ან ტემპერატურის ცვლილებისგან. გულ-სისხლძარღვთა სისტემის დარღვევები: მათ შორის მაღალი წნევა სხვა: სისხლდენა, ტკივილი, მათ შორის სახსრების ტკივილი
ზოგ პაციენტს ესაჭიროება განსაკუთრებული ყურადღება	დიაბეტით დაავადებულები (ჰიპოგლიკემიის განვითარების რისკი)
როდის უნდა მიმართოთ სამედიცინო გუნდს?	

გააფრთხილეთ სამედიცინო გუნდი შემდეგ შემთხვევებში, თუ არ გაქვთ მიღებული კონკრეტული სამედიცინო რეკომენდაციები.	მომწვევები სისტემის დარღვევები > წონის სწრაფი და/ან მნიშვნელოვანი კარგვა > ძალიან ხშირი დიარეა, დღეში 4-ზე მეტჯერ კუჭში გასვლა > პირის ღრუს ტკივილი ან წყლულები, რომლებიც ხელს უშლის ნორმალურ კვებას > ინტენსიური ტკივილი მუცლის არეში > 24 საათის განმავლობაში დაღევის და/ან დაახლოებით 48 საათის განმავლობაში ჭამის შეუძლებლობა. > კვირაში 3-ზე ნაკლები განავალი ინფექციის მაჩვენებელი სიმპტომები > თავის ტკივილი, ყურებში ზუზუნი და/ან თავბრუსხვევა > დასაშვები ციფრების ზრდა არტერიული წნევის გაზომვისას გულის პრობლემის მაჩვენებელი სიმპტომები > სუნთქვის უკმარისობა, გულის აჩქარება, წნეხი გულმკერდის არეში ინფექციის მაჩვენებელი სიმპტომები > ტემპერატურა > 38,5 °C > ხველება, ყელის ტკივილი, ტკივილი შრდვისას, დიარეა და სიცხე ერთად სისხლდენის მაჩვენებელი სიმპტომები > სისხლი განავალში, ან ლებინების დროს > სისხლჩაქცევები (სილურჯეები), ცხვირიდან სისხლდენა ჰიპოგლიკემიის მაჩვენებელი სიმპტომები > თავბრუსხვევა, გულისრევა, მხედველობის დაბინდვა, კუნთების სისუსტე ტკივილები, რომელიც ხელს გიშლით ჩვეულ აქტივობებში > ტკივილი ხელებსა და ფეხებში > სახსრების ტკივილი
როგორ უნდა მოახდინოთ გვერდითი მოვლენების პრევენცია?	
არტერიული წნევის მონიტორინგი	მაღალი წნევა უნდა გამოსწორდეს. არტერიული წნევის რეგულარული გაზომვა რეკომენდირებულია. ფარმაცევტებს შეუძლიათ დაგეხმარონ წნევის გაზომვაში. შეგიძლიათ სთხოვოთ, რომ თქვენ თვითონ გაიზომოთ ავტო-წნევის გამზომით.
წონა	გააკონტროლეთ რეგულარულად თქვენი წონა კუჭ-ნაწლავის დარღვევების დროს
კბილების ჰიგიენა	გამოიყენეთ რბილი კბილის ჯაგრისი და გამოიყენეთ პირის ღრუს სავლები ნატრიუმის ბიკარბონატით. მოერიდეთ მენტოლის ან სპირტის შემცველი პირის ღრუს სავლებების გამოყენებას
კანის მოვლა	ხელებსა და ფეხებზე: წაისვით ხელებსა და ფეხებზე დამატენიანებელი კრემი ან რძე და/ან შემახორცებელი კრემი (ძლიერი შეზღუდვის გარეშე). მოერიდეთ ხელებისა და ფეხების სიცხესთან (ცხელ წყალთან) შეხებას. მოერიდეთ ხახუნის ან წყლულების გამომწვევ აქტივობებს და მოერიდეთ მჭიდრო ტანსაცმლის, წინდებისა და ფეხსაცმლის ტარებას. სხეული: უპირატესობა მიანიჭეთ რბილ საპონს და დამატენიანებელ კრემს, გაიშრეთ ტამპონირებით. მოერიდეთ ნებისმიერი გამაღიზიანებელი საშუალების გამოყენებას. მზისგან დასაცავად გამოიყენეთ დიდი ზომის სათვალეები და მოერიდეთ მზეზე გასვლას.
თმის ცვენა	გამოიყენეთ გამოიყენეთ რბილი შამპუნი (ჩვილებისთვის განკუთვნილი) მცირე დოზით. უპირატესობა მიანიჭეთ რბილ კბილის ჯაგრისს თავიდან აიცილეთ თმის ძალიან ხშირი დაბანა. მოერიდეთ სითბოს წყაროებს (ფენი, ცხელი ბიგუდები, თმის დასასწორებელი და დასახვევი საშუალებები), თმის შეღებვას, მელირებას და ქიმიურ დახვევას.

დადღილობა	ამჟობინეთ ისეთი აქტივობები, რომლებიც თქვენს კარგად ყოფნას უწყობს ხელს, განსაკუთრებით კი ადაპტირებული და რეგულარული ფიზიკური აქტივობა: სიარული, ცურვა, ველოსიპედით სიარული, სპორტი და ა.შ. ჩაანაცვლეთ აქტივობის პერიოდი დასვენებით და პირიქით.
სისხლდენა, სისხლჩაქცევები	მოერიდეთ ანთების საწინააღმდეგო პრეპარატების (იბუპროფენი, ასპირინი და ა.შ.) მიღებას აცნობეთ თქვენს ექიმს: > თუ იღებთ ანტიკოაგულანტებს ან თრომბოციტების ანთიაგრეგანტულ პრეპარატებს: საჭიროა მკაცრი მონიტორინგი > ქირურგიული ან სტომატოლოგიური ჩარევის შემთხვევაში
ინფექცია	რეკომენდირებულია პნევმოკოკისა და გრიპის საწინააღმდეგო აცრა : ის თქვენ დაგიცავთ.
როგორ უნდა დაიწყოთ ადაპტირებული კვება?	
დიარეა	უპირატესობა მიანიჭეთ დაბალ ბოჭკოვან დიეტას. სასურველია, მიირთვათ სახამებლიანი პროდუქტები, სტაფილო და ბანანი. არ მიირთვათ უმი ხილი და ბოსტნეული, რძის პროდუქტები, ყავა და ალკოჰოლი. დალიეთ წყალი დიდი რაოდენობით.
გულის რევის შეგრძნება	უპირატესობა მიანიჭეთ ფრაგმენტულ კვებას, რომელიც გადანაწილებულია რამდენიმე მსუბუქ რაციონად. საკვები უნდა იყოს თხევადი და ცივი. შეზღუდეთ ცხიმოვანი, შემწვარი და ცხარე საკვები.
წონის დაკარგვა	უპირატესობა მიანიჭეთ უფრო კალორიულ საკვებს და „გემრიელ კვებას“.
პირის ღრუს ანთება (პირის ღრუს წყლულები)	მოერიდეთ მჟავა ან წებოვანი საკვების და ძალიან მარილიანი საკვების მიღებას.
გემოს შეგრძნების დარღვევები	მიიღეთ თბილი ან ცივი საკვები პატარა რაციონით რამდენჯერმე დღეში. მოერიდეთ სამზარეულოს მეტალის ქურჭელს.
კუჭის შეკრულობა	უპირატესობა მიანიჭეთ ბოჭკოვანი გამდიდრებულ დიეტას. დალიეთ წყალი დიდი რაოდენობით.

